№ 170
კვირა, 9 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

№ 170
კვირა, 9 აგვისტო, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერია

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 9 აგვისტოს,
საზაფხულო თეატრში (მიხეილის ქ. იუნკრის სკოლის პირდაპირ)
ბ. მ. **საფაროვი** სცენის მოყვარეთა დახმარებით დასდგამს
მზის დაბნელებას
კომ. 3 მოქმ. ანტონოვისა
დასასრულ იქმნება **დივერტისმენტი, ლეკური** და **ბუნდოვანი** სურათები.
ადგილების ფასი 10 კაპეიკიდგან —1 მან. 50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (2—უ.—2)

გორის ანასტასიის საძალებო პროგიმნაზიაში მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 27—28 აგვისტოს, 31 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი, 1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა.

მოსამზადებელ კლასის უმცროსა განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან ბავშვები არა ნაკლებ 7 წლისანი, აგრეთვე ისინი, რომელთაც არ ეცოდინებათ რუსული ენა და წერა-კითხვა დედა-ენაზედ. მოსწავლეთს მისაღებად ყველა კლასშია თავისუფალი ადგილი. (3—უ—2)

გორის სამასწავლებლო სემინარიაში 26 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი. ამავე დღეს მკურნალი შეამოწმებს სასწავლებელში შემოსასვლელ ყმაწვილებს. 27 აგვისტოს მოსწავლენი გამოიცდებიან წერაში და 28 აგვისტოს—საგნებში.

1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა. თავისუფალი ადგილია უმცროსს მოსამზადებელს კლასში 5 (მხოლოდ თათრებისათვის) და უმფროსში—10. (3—უ—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ს. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ **ჩიქოკანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკურნალი-ქალი. ს. ი. **რუდენკო**. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.
ზ.ი. **ბაბანასიანცი**.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ს. ბ. **კარაბეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ს. ბ. **ბურკო**. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.
სადამოობით:
გ. მ. **მახვილაძე**.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.
ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.
ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ **კაპიტნობა**—კავკასიის სამხედრო მბრძანებლ ბატალიონის შტაბ-კაპიტანს ჩერქეზიშვილს; შტაბს-კაპიტნობა—ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებლის უმცროს ოფიცრის თანამდებობის აღმასრულებელს კოკლაძეს.

გამწესებულ იქმნა სანკტ-პეტერბურგის სალმწერლო უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული, აზნაური მიხეილ ნიკოლოზის მე ზუბალაშვილი ტფილისის საგუბერნიო გიმნაზიაში.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი დღეს კოჯრიდგან ტფილისს ჩამოვა და დღესვე მცხეთას გაემგზავრება. ხვალ დილით კი მცხეთიდგან მოსკოვს წავა.

⁂ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, გუშინ, 7 აგვისტოს, ტფილისიდგან გორის მაზრის სოფ. მეტეხში წაბრძანდა ეკკლესიის საკურთხებლად.

⁂ ტფილისის სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი მამა სერაფიმი გამოეთხოვა საქართველოს ექსარხოსს, ყველა ნაცნობებს და აგრეთვე სემინარიის მასწავლებლებს და გუშინ, 8 აგვისტოს, გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც ხელ დასხმულ იქმნება ეპისკოპოსად.

⁂ 6 აგვისტოს გაემგზავრა მოსკოვს ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე-II ძეგლის კურთხევაზედ დასასწრებლად.

⁂ გასულ თვეში ქალაქის სამკურნალოში და მის ავლაბრის და ხარფუხის განყოფილებაში 80 ყმაწვილისთვის აუცრიათ ყვავილი.

⁂ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი პროფესორი დოკუჩაევი გუშინ ყარაიაზში წავიდა ბამბის მინდვრების და მდ. მტკვრის პირას მდებარე მიწების დასათვალიერებლად. პროფესორ დოკუჩაევთან გაჰყვნენ აგრონომი ტარატინოვი და კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულტან-კრიმგირეი.

⁂ უძრავ მამულების დამფასებელ კომისიას უკვე წარუდგენია ქალაქის გამგეობისთვის დასაფასებელი უწყებანი და აგრეთვე ზოგიერთა სახლის პატრონების საჩივრები დაფასების შესახებ. ქალაქის გამგეობა ორშაბათიდგანვე შეუდგება ამ უწყებების და საჩივრების განხილვას.

⁂ ქალაქის გამგეობამ 8 აგვისტოს კრებაზედ დაადგინა გადასდოს 1400 მანეთი გოლოვინსკის პროსპექტის და სოლოლაკის ქუჩის შესაკეთებლად და 100 მანეთიც ჭავჭავაძის ქუჩის შესაკეთებლად.

⁂ ამ ჟამად ქალაქის გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას აწ არსებული წეს-რიგი გარდასახადის მოკრებისა ქალაქის საყასბოში დაკლულ საქონელზედაო. დღემდის ამ გარდასახადს ჰკრებენ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელენი ხორცის მიტანისათანავე დუქნებში, გამგეობას-კი განზრახვა აქვს გარდასახადი საყასბოზედვე გარდაახდევინოს ყასბებს და ამ აზრით დააარსოს განსაკუთრებული თანამდებობა გარდასახადის ამკრებისა, რომელსაც ჯამაგირად მიეცემა წელიწადში 480 მან.

⁂ განზრახვა აქვთ 20 სექტემბრიდგან დაიწყონ წარმოდგენების მართვა ტფილისის სახელმწიფო თეატრში. ამ წარმოდგენებისათვის, სხვათა შორის, მოწვეულია ბ-ნი კამიონსკი, მაკსაკოვი, გეცევიჩი და არციმოვიჩი, დირიჟორებად მოწვეულნი არიან ბ-ნი ბარბინი და ბაგანი.

⁂ ბათუმის საბჭოს ახალ ხმოსნების არჩევანი მოხდება ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში.

⁂ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 28 აგვისტოს. გიმნაზიასთა არსებულ პირველ დაწყებით სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება დაიწყება 27 აგვისტოს. ამ სასწავლებელში მიღებულ იქმნებიან 7 წლისანი და წერა კითხვის უცოდინარნი.

ფელეტონი

რა ეჯირვება საქართველოს ეკკლესიას?

ამ სათაურით რუსულ გაზეთ „С.-Петербургскія Вѣдомости“-ში (№ 207) დაბეჭდილია მეტად საყურადღებო წერილი ნ. დურნოვისა საქართველოს ეკკლესიის მდგომარეობის და საჭიროების შესახებ. მოგვყავს ეს წერილი:

„საქართველოდგან მეტად სანუგეშო ამბები მოგვდის საქართველოს აწინდელის ექსარხოსის, მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს მოქმედების შესახებ, იმ ექსარხოსისა, რომელსაც ასეთის სიხარულით და აღტაცებით მიეგება ქართველი თავად-აზნაურობა. მძიმე და აუტანელი დღეები გამოიარა საქართველოს ეკკლესიამ ამ უკანასკნელ დროს... იმის წყალობით, რომ ხალხს ეკკლესიაზედ გული აუცრუვდა, მრავალი ტაძარი და მონასტერი გაუქმებულ იქმნა. ქართველები, რომელნიც მთელი საუკუნეები, იარაღით ხელში, იცავდნენ ეკკლესიასა და სარწმუნოებას, დღეს ამ ეკკლესიასა და სარწმუნოებას გულ-გრილად ეკცევიან. 900-მდე ტაძარი უპატრონოდ არის დატოვებული, ამ ტაძრებში ზარის ხმაც-კი აღარ გაისმის. თითო მონასტერში 3—4 ბერს ძლივს შეხვდებით. დიდი და მძიმე საქმის აღსრულება მოელის მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, მაგრამ ის, ვითარცა კეთილ-შობილი, მისიონერად ნამყოფი და დიდად განათლებული მოღვაწე, მიხვდება, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ უკეთილშობილესს და უწარჩინებულესს ხალხთან აქვს საქმე, ისეთ ხალხთან, რომელიც თავ-დადებულია რუსეთის ხელმწიფეებისათვის, რაიცა დიდი ხანია დაფასებულ იქმნა ხელმწიფეების მიერ. მხოლოდ აწინდელ „Москов. Вѣд.“-ს, რომელმაც არ უწყის მართლმადიდებელთა სარწმუნოების საფუძველი და საძირკველი, შეუძლიან მოითხოვოს, რომ რუსეთის უერთგულეს, მართლმადიდებელ ქართველებისა და ბესარაბიელ მოლდავანების წინააღმდეგ ძალა იქმნას ხმარებული, თუმცა ამ გაზეთმა სხვებზედ უფრო კარგად უნდა უწყოდეს, რომ მოციქულები-ებრაელნი, როდესაც ბერძნებსა და რომაელებს წმ. სახარებას უქადაგებდნენ, ამ უკანასკნელთ ებრაელებად არა ჰქმნიდნენ, სწორედ ისე, როგორც ბერძნები, რუსების გაქრისტიანების დროს, არა ჰქმნიდნენ მათ ბერძნებად, არამედ სწავლობდნენ ჩვენს ენას და სთარგმნიდნენ ბერძნულიდგან სლავიანურს ენაზედ საეკკლესიო წიგნებს. ან-კი რა აზრი აქვს რუსების ერთ-მორწმუნე ერთან წაკიდებას, რა აზრი აქვს ადგილობრივ მცხოვრებთა ენის შევიწროებასა და აღკრძალვას.

„ბევრი სამწუხარო დღეები გამოიარა საქართველოს ეკკლესიამ ამ ბოლოს დროს. 1894 წელს 9 თვით დახურულ იქმნა ტფილისის სემენარია და გამორისხულ იქმნა იქიდგან 100 მოსწავლე-ქართველი, რომელნიც აჯანყდნენ თავისის რექტორის წინააღმდეგ ქართულის საეკკლესიო გალობის გაკვეთილის დროს. ამ სამწუხარო ისტორიის შესახებ უმჯობესია, რომ დავჩუმდეთ. შემდეგ განდევნილ იქმნენ ქართველი მოლოზნები ბოდბის მონასტრიდგან, სადაც დაკრძალულია საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო, ხოლო ამ მოლოზნების განდევნის შემდეგ აღკრძალულ იქმნა ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვაც.

„1895 წელს ტფილისში წავიდა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი ვ. კ. საბლერი ქართველთა დასამშვიდებლად, რომელნიც აღელვებულნი იყვნენ ეჭვარხოსის განკარგულებით. 1896 წელს, იანვარში გარდაიცვალა შესანიშნავი და სახელოვანი მღვდელთ-მთავარი იმერეთისა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, რომელიც 36 წელი განაგებდა სამწყსოს, და რომელიც, თავისის მაღალის ღირსებებით, მქადაგებლობის ნიჭით და პატიოსანის, კეთილის ცხოვრებით შეადგენდა სახელსა და მშვენებას არა მარტო ქართველთა, არამედ სრულიად მართლ-მადიდებელთა ეკკლესიისას. მერე რა?—იმის გარდაცვალების შემდეგ, მთელი ორი წელი და შვიდი თვე იმერეთს საკუთარი ეპისკოპოსი არა ჰყოლია, რადგანაც აზრადა ჰქონდათ იქ რუსი დაენიშნათ; მხოლოდ ამ ჟამად მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს მეცადინეობით, როგორც იქმნა, ემერეთის ეპარქია ელირსა ისეთს მღვდელ-მთავარს, სახელდობრ ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონ თავ. დადიანს, რომელიც სულიერადაც და ენითაც ნათესავია ადგილობრივის მცხოვრებლებისა. ამ წლის და საწყის, ყოფილის ექსარხოსის წარდგენილობით, სამეგრელოს კათედრაც უეპისკოპოსოდ დარჩა, რადგანაც ადგილობრივი ეპისკოპოსი გრიგორი თავ. დადიანი (ძმა ყოვლად-სამღვდელო ბესარიონისა) დანიშნულ იქმნა უწმ. სინოდის მოსკოვის კანტორის წევრად; *) ეს კათედრა მაშინვე გარდაეცა მხცოვან, 78 წლის მოხუცს, გორის ეპისკოპოსს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს. ამას თუ დაუმატებთ მღვდლის კ.—მიერ სინოდის კანტორის წევრის არქიმანდრიტის ნიკოლოზის მოკვლას და იმ ჩვენებას, რომელიც მოწმეთ სასამართლოში წარმოთქვეს უწესოების დასახასიათებლად,—მაშინ ადვილად მივხვდებით იმას, რომ საქართველოს ეკკლესიისთვის მართლაც მტკიცე და დამოუკიდებელის ხასიათის მექონე ექსარხოსია საჭირო, რომელსაც შეეძლოს საქართველოს ეკკლესიის დამშვიდება და კეთილად მოწყობა.

მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანემ, როგორც იუწყებიან, გულით

*) ყოვლად სამღვდელო გრიგორი ჯერაც არ მოსულა მოსკოვში და, მგონი, საქართველოშივე დარჩება. შეიძლება, რომ იქ კათედრაც-კი მიიღოს. ავტორი.

⁂ სექტემბრის პირველ რიცხვებიდგან სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენების მართვას დაიწყებს იტალიელ არტისტთა დასი.

⁂ უფროსმა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა შუამდგომლობა დაიწყო ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ხარჯის ამკრებთ ჯამაგირები მოემატოთო, სახელდობრ თითოს 22—40 მანეთამდის მიეცეთო. დაარსებულ იქმნას თანამდებობა ცხენოსანისა, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ჩარჩებს, და შემუშავებულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი ჩარჩებთან საბრძოლველადაო.

⁂ ტფილისის მაზრის ბეითალი ბ-ნი ვინჩა გუბერნატორის განკარგულებისამებრ გაგზავნილ იქმნა ბორჩალოს მაზრაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

⁂ ქუთაისის მაზრის სოფ. კვალიეთში რაღაც საქონლის ჭირი გაჩენილა. ერთს გლეხს, სოლომონ ნებიერიძეს, ჭირიანი ხარი დაუკლავს და იმის ხორცით მოწამლულა. მკურნალის აზრით, ნებიერიძის მორჩენა საეჭვოა თურმე.

⁂ გაზ. „Сынъ От.“ სიტყვით, კავკასიის ნავთის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღძრეს ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ იმ ადგილს, სადაც ნავთის წარმოებაა გავრცელებული, დაარსებულ იქმნას ოთხი სპეციალური დაბალი სასწავლებელი მუშათა შვილებისათვის. ამ სკოლებში მოამზადებენ ნავთის საქმისათვის დახელოვნებულ მუშებს.

⁂ გაზ. „კავკასი“ სწერს: „სჯულის საქმეთა სამინისტრო შეეკითხა ამიერ-კავკასიის ყველა ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებსა და ბრალმდებლებს ამიერ-კავკასიაში ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ. როგორც შევიტყეთ, თავმჯდომარეთა და ბრალმდებელთა უმეტესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ნაფიც-მსაჯულთა შემოღება ჯერ ადრეა, რადგანაც სხვა-და-სხვა ტომის ადგილობრივ მცხოვრებელნი ნაკლებად არიან განათლებულნი და ერთ ერთმანეთისაგან ზნე-ჩვეულებებით ძალიან განსხვავდებიანო“.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, მთავრობამ საჭიროდ სცნო გორის მაზრის სოფ. ზერტის მცხოვრებლებზედ დარჩენილი სახელმწიფო ტ საერობო გარდასახადის—3,416 მან. 42 კაპ. გარდახდა ხუთის წლით გაანაწილოს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ქუთაისიდგან, რომ 4 აგვისტოს ღამე ცეცხლი მოეკიდა მდ. რიონის მახლობლად მყოფ ხე-ტყის საწყობს. დიდის ქარისა გამო ცეცხლი მდინარის მეორე ნაპირას მყოფ სახლებსაც გადასწვდა და რამდენიმე სახლი შთანთქა. დიდის ტანჯვა წვალების შემდეგ უზრუნველ ყოფილ იქმნა ცეცხლისაგან საწყობის მახლობლად აგებული შენობა გიმნაზიისა.

⁂ დ. ონი. 3 აგვისტოს ონის მახლობლად გაშენებულ სოფლებში, სახელდობრ: ღვარსა, შკაუბანსა, ურიებსა, რაზმაძესა, წოლასა, ლოგვანტსა და ნაკიეთში სეტყვა მოვიდა და დიდად დააზარალა ვენახები და სიმინდის ყანები. თუმცა ზარალი ნამდვილად არ არის გამოანგარიშებული, მაგრამ ამბობენ 5,000 მ. ნაკლებ არ იქმნებაო. 4 აგვისტოს სოფ. ღარის მცხოვრებელმა ჩიკვაიძემ თოფით მოჰკლა თავისი ნათესავი ივ. ბაქრაძე. მკვლელობის ჩადენის მიზეზად ასახელებენ ერთ ურემ ფიჩხის მოპრას ბაქრაძის მიერ ჩიკვაიძის ტყეში, პოლიციამ უკვე დააპატიმრა დამნაშავე („ახ. მიმ.“)

⁂ დ. ოჩამჩირე, (აფხაზეთი). 2 აგვისტოს სცენის მოყვარეთ საქველმოქმედო აზრით ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილ იყო ქართულად ა. ცაგარლის 2 მოქ. კომედია—„ბაიყუში“ და გ. ერისთავის 1 მოქმ.—„უჩინ-მაჩინის ქუდი“. რუსულად: „Сорокъ тысячъ“ და „Не въ свои сани не садись“. მონაწილეობას ღებულობდნენ. ქ-ნნი მაკრინე და მაშო თურქიები და რეზნიკოვებისა. ბ-ნნი კ. აბაშიძე, ა. ჩაჩავა, გ. კერესელიძე, გ. კაჭარავა, გ. მახარაძე, კ. გვასალია და ნ. მდივანი. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და მეტად ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 2 საათზე დაიშალა. წარმოდგენა მ. ჩხენკელის და ერთის ღარიბის გიმნაზიის მოწაფის სასარგებლოდ იყო დადგმული.

დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც ყველა მოთამაშენი, აგრეთვე ვ. ვ. ზაიცევი, აგენტი ხომალდთა საზოგადოებისა, რომელმაც ხელოვნურად მოაწყო სცენა, მასწავლებელი ნ. ლადარია და დ. გვასალია, როგორც გამგე და მეცადინე წარმოდგენის კარგად მოწყობისათვის. შემოსავალი 100 მან. იყო.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხიდგან იუწყებიან, რომ აქ ყვავილი გაჩნდაო.

⁂ სოფ. ვაჩნაძიანი, (თელავის მაზრა). კვირას, აგვისტოს 2 ს, სოფელს ვაჩნაძიანში ქართული უფასო წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოადგინეს „ბაიყუში“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“. ორივე პიესამ ძლიერ მხიარულად ჩაიარა; საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ყველა მოთამაშეთ კარგად შეასრულეს როლები. ცხადად ეტყობოდათ, რომ გულით შესდგომოდგნენ საქმეს. სცენა სამაგალითოდ იყო მოწყობილი. სოფლად ბევრი წარმოდგენა გვინახავს, მაგრამ ასე კარგად გამართულ წარმოდგენას არ შეეხვედრივართ. წარმოდგენა გამართულ იქმნა კნ. სალომე სიმონის ასულის ჯანდიერის მეცადინეობით, რომელმაც არავითარი შრომა და ხარჯი არ დაიშურა ამ საქმისათვის. საზოგადოებაც ბლომად დაესწრო წარმოდგენას. სიღნაღის მაზრიდგანაც კი მოვიდნენ. სულ 300 კაცზედ მეტი იქმნებოდა, მათ შორის ბევრი გლეხი იყო. ამ წარმოდგენით დიდად ნასიამოვნებმა ინტელიგენციამ ურთიერთ შორის შეკრიბა 110 მ. 45 კ. ერთის აქაურის ქართველ სტუდენტის სასარგებლოდ და მიართვა კნ. სალომე ს. ჯანდიერს. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა და დასასრულს დამსწრენი კნ. სალომე ჯანდიერისამ ვახშმად მიიწვია. სწორედ დიდის მადლობის ღირსია ყველა, ვინც ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო და განსაკუთრებით ღრმად პატივცემული კნეინა სალომე სიმონის ასული ჯანდიერისა.

⁂ ქ. თელავი, 7 აგვისტო. თავისს სამშობლო ქალაქ თელავსაც ეწვია ნიჭიერი არტისტი ვ. მესხიშვილი და ასიამოვნა ადგილობრივი საზოგადოება ხელოვნურის თამაშობით.

6-ს აგვისტოს ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა პირველად ახალი პიესა „ცხოვრების გმირი“, ტრაგედია 3 მოქ. კარეევისა და ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით ბ. მესხიშვილმა შეასრულა თავისი როლი უნაკლულოდ. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი გამყრელიძე დიმიტრი არეკვის როლში. ბევრი აკინა საზოგადოება ვოდევილში ბ-მა აწყურელმა. დიდათ ნასიამოვნი საზოგადოება ღამის პირველ საათზედ დაიშალა. კვირას, 9 აგვისტოს, კვლავ წარმოადგენენ „კინს“.

გავლილ კვირას, 2 ს აგვიტოს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ითამაშეს ერისთავის „სამშობლო“. ვგონებ ჩვენს ენაზედ ეს ერთათ ერთი ხეირიანი ორიგინალური პიესაა, რომელსაც დიდის სიფრთხილით უნდა ვეპყრობოდეთ და არა ფეხქვეშ ვთელავდეთ და ვამახინჯებდეთ!.. ამიტომ არ ვურჩევთ ჩვენ თეატრის „მოტრფიალეთ“ მოუმზადებლივ „სამშობლოსთანა“ პიესების დადგმას. ამ წარმოდგენას ხალხი ნაკლებათ დაესწრო, რადგანაც ყველამ გაიგო, ვინც თამაშობდენ, თუმცა საგანი წარმოდგენისა დიაღ კარგი იყო—სამკითხველოს სასარგებლოთ.

⁂ სოფ. ბრიუტა. ამ-ჟამად აქ ყველაფერი ძლიერ გაძვირდა. წინად ერბოს ვყიდულობდით 30 კ., კვერცხს შაურად ხუთს და ზოგჯერ ექვსსაც, მაგრამ ეხლა ერბო 40 კ. ფასობს და 4 კვერცხი შაურად. რომ ვკითხე, ასე რათ გაგიძვირებიათ მეთქი, მიპასუხეს, რომ ურიებმა სული ამოგვართვესო, მოგვაჩჩებენ დამპალ-დუმპალს ჩითებს ძვირად და ჩვენგან თითქმის ნახევარ ფასად მიაქვთ ყოველგვარი სანოვაგე. სახლში ცოტა-ღა გვრჩება და მაშ რა ვქნათ, რომ ძვირად არ გავყიდოთო.

⁂ ქალაქის ათეთიაქიდგან გასულ თვის განმავლობაში უფასოდ მიუცია 10,325 კაცისათვის სხვა-და-სხვა წამალი.

⁂ 8 აგვისტოს მსროლელთა ბატალიონის კაზარმების წინ რკინის გზის ლიანდაგზე ბოლიტიას უპოვნია ვიღაცა კაცის გვამი, რომლისთვისაც მატარებელს თავი მოუჭრია. ჯერ არ იციან ამ კაცის ვინაობა.

⁂ 7 აგვისტოს მეორე მალაკნის ქუჩაზე ბოლიტიამ დაუბატიმრა სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის მცხოვრებელი სპირიდონ კოჯორაშვილი, რომელსაც მრავალი ქურდობა ჭბრალდება.

⁂ გასულ იკლისს ტფილისში 17 ქურდობა მომხდარა, თავის მოკვლა 6 კაცს განუზრახავს, თავი მოუკლავს 5 ს, დაუჭრიათ 1.

⁂ გორის მაზრის აგარაკ დაბაძველში ჩხუბის დროს გლეხმა ედილაშვილმა მოჰკლა ალექსი ლომსაძე.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ქოდალოში სოფ. ფხოველის მცხოვრებელმა დათიკო ნონეშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმედ დასჭრა ადგილობრივი მცხოვრებელი ნიკო ბოგლოუშვილი.

წერილი თელავიდგან.

6 აგვისტო

ორშაბათს, 3 აგვისტოს, დიდი ლაპარაკი და აღელვება გამოიწვია თელავის უსაქმურთა და საქმიანთა შორის აზნაურ მიხეილ დავითის ძის საყვარელიძის მოკვლამ. საყვარელი-

---

მოიწადინა ქართველ და ბერძენ მცხოვრებელთა ინტერესების დაცვა და უკვე განკარგულება მოახდინა, რომ ეკკლესიებში წირვა-ლოცვა მათვის გასაგებ ენაზედ სრულდებოდეს...

იმის წყალობით, რომ 1885 წელს, აფხაზიის ეპარქიის ნაცვლად, დაარსებულ იქმნა სოხუმის ეპარქია, რომელსაც მიაწერეს აგრეთვე შავის ზღვის ნაპირის ოლქიც, ოჩემჩირისა ანუ კოდორის ნაწილის ქართველები (მეგრელები) და სამურზაყანოელები—50,000 სული—მოაკლდნენ სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვის. ამ შეცდომის გასწორება ადვილია, თუ ხსენებულ ნაწილებს სამეგრელოს ეპარქიას მიაწერენ. უმჯობესი კია, რომ მთლად სოხუმის ოლქი ამ ეპარქიას შეუერთონ, ხოლო შავის ზღვის ნაპირის გუბერნია—მომავალ ეკატერინოდარის ეპარქიას, რადგანაც, ეჭვი არ არის, კუბანის ოლქი, სადაც 2 მილიონი მცხოვრებელია, რომელთა შორის ერთი მილიონი მართ-მადიდებელია, დღეს არა ხვალ, ეღირსება თავის საკუთარ ეპისკოპოსს.

საქართველოს ეპარქიების უკანასკნელ დანაწილებას, რომელიც 1885 წელს მოხდა, როგორც ყველამ უწყის, ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდა, ზღვრე მაზრებიც—ახალქალაქისა და ახალციხისა. ამ რიგად, ამ ეპარქიის დაარსებით, გაერთიანებული იქმნებიან ყველა ის ქართველები ახალციხისა, ახალქალაქისა და ართვინის მაზრებისა და ბათუმის ოლქის აჭარელები, რომელთაც ამ რამდენისამე ხნის წინად მართლ-მადიდებლობა დაუტოვეს. მათი რიცხვი სულ 175 ათასი იქმნება. ამ ქართველებს შორის ჯერ კიდევ არის დარჩენილი ცოტა რამ ქრისტიანობისა, ისინი ზოგიერთ ქრისტიანულ წესებსაც კი ასრულებენ, ასე რომ, თუ ნამდვილი ქართველი მისიანერები დაუნიშნეს, სულ ადვილად დაუბრუნებენ ამ განდგომილთ წმ. ეკკლესიას. საუბედუროდ ისინი, ვინცა სცდილობდნენ რუსეთის ხელმწიფისათვის უიმისოდაც თავდადებულთა გარუსებას, ერთნაირად არა ზრუნავდნენ საქართველოს სამწყსოსათვის, ხოლო განდგომილთა დაბრუნების შესახებ ხომ სულ არა ჰფიქრობდნენ. უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში ქართველთა ორი მონასტერი—საირმისა და სამებისა (თუ არ ჩავთვლით ბოდბისასაც) გარდაეცა ათანის მონასტრის რუსს—ბერებს, ხოლო შესანიშნავი ახტალის მონასტერი, თავისის დიადის ტაძრით—რომელთანაც 1891 წლამდე სამიტროპოლიტო კათედრა არსებობდა,—1896 წელს გაუქმებულ იქმნა. რაც შეეხება საქართველოს ეკკლესიების ძველის ნაშთების მოვლასა და პატრონობას, ამის შესახებ უმჯობესია თვით ქართველებს ეკითხოს და არა „Моск. Вѣд.“—ს.

„საჭიროა დაკმაყოფილებულ იქმნას კახეთის მცხოვრებელთა (თელავის, სიღნაღის და თიონეთის მაზრების) სურვილიც. კახელები, მოწინავე წოდების პირით, არამც თუ თხოულობდნენ საკუთარი ეპისკოპოსი დაგვინიშნეთო, არამედ ეპისკოპოსის შესანახად საჭირო ხარჯის გაღებასაც-კი კისრულობდნენ. ხოლო ქართლის (ე. ი. დუშეთის, ტფილისის, გურიის და ბორჩალოს მაზრების) ეპისკოპოსი შეიძლება ტფილისში იმყოფებოდეს. ამით არამც თუ ქართველთა სურვილი იქმნება დაკმაყოფილებული, არამედ დაქვეითებული სარწმუნოებაც ფესვებს გაიდგამს და უფრო ღრმად გავრცელდება ხალხში. რადგანაც საქართველოში კონსისტორიები არ არსებობს, ამიტომ ეპისკოპოსების შენახვა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ამ ხარჯს დღეს საქართველოს საეკკლესიო ხაზინა იხდის. საქართველოს ბრწყინვალე დროს, ამ ქვეყანაში 60 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, ეპისკოპოსები გვერდში ედგნენ ხალხს და ასე დაშორებულნი არ იყვნენ როგორც ეხლა არიან, როდესაც მხოლოდ 4 ეპისკოპოსია და მათ შორისაც მარტო 2-ია ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი.

„ამ ჟამად ექსარხოსის ვიკარიებს, თუმცა ქართველები არიან, მაგრამ თავისუფლად მოქმედება არ შეუძლიანთ; დღემდის მათ ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის შესრულებასაც-კი უკრძალავდნენ. აი, სწორედ ამიტომ გაიმსო საქართველო სომხებით, რომელნიც ადვილად იყოლიებენ ქართველებს და ხანდისხან თავიანთ ეკკლესიებშიაც-კი ატარებენ.

„ამით ვასრულებთ საქართველოს ახალის ექსარხოსის, მაღალ-ყოვლადსამღვდელო ფლავიანეს მოქმედების შესახებ მიღებულ ამბებს და ვისურვებთ, რომ იმისი სახელი დაკავშირებულ იქმნას საქართველოს ეკკლესიის აღორძინებასა და იმის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან“.

ძეს, სხვათა შორის, იჯარითა ჰქონდა აღებული ახალის გზის გაყვანა დაღესტნისაკენ. შაბათს, 1 აგვისტოს, საყვარელიძეს ფული მიუღია თელავში 3,000 მან. (ზოგი ამბობს, 5,000 მან.) და წასულა მთისაკენ, იმ ადგილას, სადაც გზა გაჰყავდა, იმ აზრით, რომ ფული მუშებისათვის დაერიგებინა. თან წაუყვანია თავისი ერთგული კაცი, მოსამსახურე ლეკი. გათენებისას, ორშაბათ დილით, სოფ. გავაზს რომ გასცილებიან, აჰყოლიან საცალფეხო ბილიკს და სამუშაო გზას ერთს ვერსზედ დაახლოვებიან, იქ ჩასაფრებულნი ყოფილან ვიღაც პირ-აფარებულნი ორნი, უსროლიათ თოფი და იქვე მოუკლავთ. მოკლულს თოფი გულში აქვს მოხვედრილი. საყვარელიძე ორმოცის წლის კაცი იყო, დარჩა ქვრივი, სამი წვრილი შვილი და ღრმად მოხუცებული დედა. განსვენებული 6 აგვისტოს, დილით, თელავში მოასვენეს და წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიაში დაასვენეს. გამომძიებელი ს. ს. შირსკი ექიმითა და ბოქაულითურთ უკვე იყვნენ იმ ადგილას, სადაც ეს ბოროტ-მოქმედება მოჰხდა, და ამ ჟამად ფიცხელი გამოძიება სწარმოებს. მკვლელობა, როგორც სჩანს, გაძარცვის აზრით უნდა მოეხდინათ, მაინც ბოროტ-მომქმედთ ვერა წაუღიათ-რა, რადგან მოკლულს ზედვე აღმოაჩნდა 1.470 მან.

მეორე საერთო უბედურება თელავისა ის იყო, რომ ორშაბათს, სწორედ საყვარელიძის მოკვლის დღეს, სეტყვამ დარეგვა აქაურობა. სეტყვა წამოვიდა ზევითა მხრიდგან და გადმოუარა ხოდაშენს, აწყურს, თაღლაურს, ოჟიოს, ნახევარ იყალთოს. ვენახები თითქმის გაანახევრა სეტყვამ. ყანებიც ნახევრად მომკილია, თუმცა ჯერ დაბინავებული არა აქვთ. ზარალი ჯერ ვერ გამოურკვევიათ. ეს სოფლებიც ზოგი ძალიან არის დასეტყვილი, ზოგი სუსტად.

აქეთ პურის მოსავალი წელს ძალიან კარგია. ვენახებსაც კარგად ესხა, მეტადრე ნაწამლს. სიმინდის მოსავალისა-კი დიდი მოლოდინი არა აქვთ.

რას აკეთებსო თელავი? იკითხავთ, არაფერს, ჩვეულებრივ, ბულვარსა და ნადიკვარზედ ჭორიკანაობის მეტს. როგორც ქართველს ყველგან აქვს ბუნებად, აქაც თელაველები ვერა რიგდებიან ვერც ერთს საქმეში. თავადი აზნაურს ვერ იშვნევს და აზნაური მოჭალაქეს. ერთი აღმა იწევს, მეორე—დაღმა და მესამე—უკუღმა. ასეთს ხალხში რა საზოგადო საქმე გამოცხვება და გამოშუშდება!..

თელაველებს დღეიდგან გართობა და სიამოვნება მოელით. აქ ჩამოვიდა ჩვენი არტისტი ვ. ალექსი-მესხიშვილი, თან ჩამოიყვანა ქ-ნი გვეტაძე, რომლის გვარიც პირველად გვესმის, თუმცა წუმწუმის ჩხირის ოდენა ასოებით არის გამოცხადებული. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, ძმ. გამყრელიძეებისა, იმათის ცოლებისა, ქ-ნ დიდებულიძისა, ბ-ნ აჯიმამუდოვისა და ზურაბიშვილის მონაწილეობით სამის წარმოდგენის გამართვას აპირებს აქაურ სომხების საქველ მოქმედო საზოგადოების თეატრში. პირველი წარმოდგენა დღეს, 6 აგვისტოს იქნება. არდგენენ კარეევის სამმოქმედებიან დრამას: „ცხოვრების გმირი“ და ვოდევილს „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. მეორე და მესამე წარმოდგენისათვის „კინსა“ და „ურიელ აკოსტას“ ამზადებენ. ამას გარდა 16 აგვისტოს, აქ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით გამართულ იქნება რუსულ-ქართული კონცერტი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ.

ა—ვი

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

„მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრებისა

კრება ამა წლის 2 აგვისტოს მოხდა.

გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნ დ. მ. ნადირაძემ გახსნა კრება დილის 11 საათზედ. კრებას დაესწრო 58 წევრი. ბ-ნმა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, რადგანაც წევრთა კანონიერი რიცხვი არის, ამიტომ კრებაც კანონიერია და გთხოვთ ამოირჩიოთ თავმჯდომარე დღევანდელის კრებისათვისაო.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა თავმჯდომარედ დაასახელა ბ-ნი ან. ი. ნატროშვილი, ხოლო მეორემ—მ. ალ. ნასიძე. კენჭის ყრისა და ხმების დათვლის შემდეგ დროებით თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ან. ნატროშვილიო.

მ. ნასიძე. ეს არჩევანი მე კანონიერად არ მიმაჩნია, რადგანაც ბ.ბ. წევრები კანდიდატებსა სწერდენ ქაღალდის ნაჭრებზედ გამგეობის წევრთა თანადასწრებით, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ.

დ. ნადირაძე. ბ-ნ ნასიძეს იმიტომ მიაჩნია უკანონოდ თავმჯდომარის ამორჩევა, რომ იგი არ იქმნა არჩეული ამ თანამდებობაზედ, თორემ თვით იყო იგი მოწადინებული ამ რიგად ეყარათ კენჭი.

ბ-ნმა ნატროშვილმა დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას ამორჩევისათვის.

შემდეგ კრების მდივნად არჩეულ იქმნა ი. მ. გომელაური. ახალ წევრად ჩაწერის სურვილი გამოაცხადა 9 კაცმა და ყველანი მიღებულ იქმნენ საზოგადოების მიერ.

თავმჯდომარე. ბატონებო, ეხლა მე მგონია საჭიროა მოვისმინოთ ანგარიში.

მ. ნასიძე. მე საჭიროდ მიმაჩნია წარსულ წლების ოქმების წაკითხვა: მე მინდა დავანახვო საზოგადოებას, რომ იმისი დადგენილებანი არა სრულდებოდნენ გამგეობის მიერ.

დ. ნადირაძე. მე ჯერ-ჯერობით წლიური ანგარიშის წაკითხვა მიმაჩნია საჭიროდ.

მ. ნასიძე. ჩვენ სარევიზიო კომისია გვყავს არჩეული. ვთხოვოთ ამ კომისიას, რომ ხსენებულ ანგარიშის შესახებ თავისი აზრი და დასკვნა შეგვატყობინოს.

თავმჯდომარე. (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს) წაიკითხეთ თქვენი მოხსენება.

კომისიის მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ დეპოს წარსულ წელს 1286 მან. 48 კაპ. დეფიციტი ჰქონია. ამის მიზეზად კომისია ასახელებს ქიზიყის ეკონომიურად დაცემას ამ უკანასკნელ წლებში, ამასთანავე დეპოსა თვის მავნე ჭორების გავრცელებას საზოგადოებაში, რომლის გამო ბევრნი წევრთაგანნიც-კი არა ვაჭრობდნენ ამ დაწესებულებაში. ხოლო ვაჭრობის გასაძლიერებელ სახსრად კომისიას მიაჩნია წევრების გამრავლება და ამით თანხის გადიდება, უკეთესი ნოქრების მოწვევა, ერთი კასირის ყოლა და სხ. ამასთანავე კომისიას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადოს დ. მ. ნადირაძეს, რომელმაც დიდი შრომა დასდო დეპოს ოთხი წლის განმავლობაში. დეფიციტის შესახებ კომისია ამბობს, რომ გამგეობას იგი დაუფარამს წარსულ წლებში სავარაუდო თანხად მოგებიდგან გადადებულ ფულით და შარშან დარჩენილის დივიდენდებით და დარჩენია კიდევ წმინდა მოგება 18 მ. 97 კაპ.

ამის შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ წაიკითხა წარსული წლის ბალანსი.

დ. ნადირაძე. ბატონებო! რადგანაც თელავის, გორის, საგარეჯოს და სხვა დეპოების მარცხი თვალწინ ედგა ქიზიყს, ამიტომ ქიზიყელნი ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩვენ მიერ დაწყებულს საქმეს, რის გამოც გამგეობამ მივეცით დეპოს წევრებს პირობის წერილი, რომლის ძალით ჩვენ უნდა გადაგვეხადა ჩვენის ქონებიდგან დეპოს ზარალი, თუ ის ზარალი გამგეობის დანაშაულობით იქნებოდა წარმომდგარი. ამ პირობით როგორც იყო შევკრიბეთ ოთხმოცი თუმანი საწევრო ფული, წავიღეთ ტფილისში და მოვიტანეთ ოთხასი თუმნის საქონელი ჩვენის საკუთარის ნებობით, ბ-ნ დავ. ფორაქაშვილის და აწ განსვენებულ ალ. რაინაშვილის თანადახმარებით. ვაჭრობა დაიწყო დეპომ ჩემს შენობაში, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ იქ ვაჭრობის გაგრძელება შეუძლებელი იყო სივიწროისა გამო. რამდენისამე თვის შემდეგ გამოვუცხადეთ დეპოს კრებას, რომ ორი კაცი აშენებს დიდს შენობას დეპოსათვის და გთხოვთ ყველამ მონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეშიო. კრებამ გვიპასუხა: ააშენონ იმათ და ბოლოს ან დავიქირავებთ მათგან და ან სულ გამოვისყიდითო. აშენდა უზარ-მაზარი შენობა,—მაგრამ ამ შენობის შესახებ მერე ვილაპარაკებთ დაწვრილებით. ეხლა-კი უნდა ვთქვა ის, რომ აქ ზოგიერთებმა რალაც საკვირველებათ მიიჩნიეს დეპოს წლევანდელი დეფიციტი, რომელიც დაფარა და გადააჭარბა კიდეც დეპოსავე რამდენისამე წლის მოგებამ, სათადარიგოდ გადადებულმა ფულმა და გამგეობის წევრების ნარგებმა ჯილდომ. დიაღ, საკვირველად მიიჩნიეს ზოგიერთებმა დეპოს წლევანდელი დეფიციტი, რადგანაც ჩვენ, ქართველები საქმის მიზეზებს არ ჩაუკვირდებით ხოლმე... რამდენისამე წლის ღვინო-სულადის მოუსავლობამ, საქონლისა და ხალხის გახშირებულმა ავად-მყოფობამ ხალხის ქონებრივს მდგომარეობას ძირი გამოუთხარა, რის გამო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა არამც თუ ქიზიყში, არამედ მთელს საქართველოში დაეცა. მართალია წელს ჩვენმა დეპომ უმოსავლობისა და ვაჭრობის შემცირებისა გამო ზარალი ნახა, მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ზარალი და მოგება ძმები არიან. როგორც მოგახსენეთ წრევანდელი ზარალი დავფარეთ სათადარიგო და გამგეობის ჯილდოდ გადადებულის ფულით. მაშასადამე, დეპოს არც ერთი გროში არ აკლდება ამ ოთხის წლის განმავლობაში, წევრებს კარგი დივიდენდიც მიუღიათ წინა წლებში. მხოლოდ ზარალობს და დიდათაც ზარალობს გამგეობა, რომლის მცირე ჯილდოც დეფიციტს წაეგლისა და რომელმაც ოთხი წელი უსასყიდლოთ იმსახურა; ასე, რომ ჩვენ ყმები გამოვდივართ... ჩვენ ამითი საყვედურის თქმა არ გვინდა, მხოლოდ გვინდა ვთქვათ, რომ საქვეყნო საქმის ფეხზედ დაყენებისთვის მოვიქეცით ასე. უწინდელს დროში დაღისტანი, სპარსეთი და სხვანი იკლებდნენ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დამარცხდნენ ის ჩვენი მტრები, გადავარდა ბატონ-ყმობაც და დღეს ნაყმევებსაცა და ნაბატონრებსაც ჩარჩ-ვაჭარ-მოვაჭრეები გვიკლებენ. ჩვენი მამა-პაპა სისხლსა ჭღვრი და ბრძოლის ველზედ დაიცავდა ქვეყანას უსჯულოთა აოხრებისაგან. თოფმა და ხმალმა მოსჭამა თავისი დროჟამი და აი სწორედ ისეთი საზოგადო სააღებ-მიცემო დაწესებულებით უნდა დავამხოთ დღეს ჩვენი ქვეყნის მოხერხებული ჩარჩ-ვაჭრობა, რომლის წინააღმდეგ სამოქმედოთ თვით სამინისტრო გვაძლევს „ნორმალურს წესდებას“. ამ გვარი საზოგადოებანი მთელს ევროპას მზის სხივებსავითა აქვს მოფენილი და არიან საქართველოშიც. ბევრმა მათგანმა საქმის დაწყებისათანავე საგრძნობელი ზარალი ნახა, მაგრამ მით გული არ გაიტეხეს და დღესაც ებრძვიან მოხერხებულ ჩარჩ-ვაჭრებს. ჩვენს დეპოსაც ასეთივე კეთილშობილური ბრძოლა აქვს მიზნად და არა ის, რომ თავის წევრებს ერთი ორად მოგება მისცეს თავის შემოტანილს საწევროში. მართალია, ჩვენმა დეპომ მგლები სულ ვერ მოარჯულა, მაგრამ მაინც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანა მცხოვრებლებს. ჩვენ, ქიზიყელებს მილიონების საზოგადო საამხანაგო საქმეები გვაქვს დასაარსებელი—სულადისა, ღვინისა, მატყლისა, თამბაქოსი და სხ... მაგრამ თუ საერთო თანაგრძნობა-დახმარების მაგიერ ასე უმადურათ გაუცინებთ ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ნამსახურს გამგეობას, მარტო იმისათვის, რომ 18 მანათის მაგივრად, რატო წელსაც ბლომად არ მოაგებინეს დეპოსაო, მაშინ დეპოს მომავალ გამგეობის წევრებსაც შეაშინებთ, ძველადა გაჭბედავენ სამსახურს და საზოგადო-საქვეყნო საქმეს ძირი გამოეთხრება; ამას ნუ იზამთ; მადლს მატლად ნურავის გაუქცევთ და კეთილის მომწყველს ბოროტს ნუ მიუწყავთ, თუ თავისა და ქვეყნისათვის კარგი გინდათ. (ტაშის ცემა გაისმის).

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სასულიერო სემინარიებში პირველისა და მეორე ხარისხით სწავლა დამთავრებულნი გამოუცდელად იქმნენ ხოლმე მიღებულნი საბეითლო ინსტიტუტებშიო. ეს განკარგულება ამ დღეებში დაეგზავნა ხარკოვისა, ვარშავისა და სხვა ქალაქების საბეითლო ინსტიტუტების მთავრობათ.

— განზრახვა აქვთ მომავალ შემოდგომას დააარსონ განსაკუთრებული კომისია აწ არსებულ სამხედრო ბეგარის გარდახდის წესდების გადასათვალიერებლადა და ხელ ახლად შესამუშავებლად.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრულა იმის შესახებ, რომ იმპერიის სხვა-დასხვა ქალაქებში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სადგურები მიწის ძვრის თვალ ყურის სადევნებლადა და ჩასაწერავადაო.

— ელექტრო-ტეხნიკოსს ბრანდტს გამოუგონია ისეთი მანქანა, რომლის შემწეობითაც კაცს შეუძლიან ტელეფონის აპპარატიდგან ორის საჟენის მანძილზედ გაიგონოს ლაპარაკი ტელეფონით.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს იმის შესახებ, რომ მემამულეთ მოუსავლიან წლებში სესხი მიეცით ხოლმე მამულის ჯეროვანად შესამუშავებლადაო.

— უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ ბერად აღკვეცილს ეკარგება საკუთრების უფლება ყოველგვარ უძრავსა და მოძრავ ქონებაზედ და თუ ბერად აღკვეცამდის რაიმე განკარგულება არ მოახდინა თავისს ქონების შესახებ, იგი კანონიერ მემკვიდრეების საკუთრებადა ხდებაო.

უცხოეთი

ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. „რეიტერის სააგენტოს“ მანდელი კორესპონდენტი სწერს (წერილი 22 იულისსაის გამოგზავნილი): „კვირას მეამბოხეთ საშინელი ტეკია დაუშინეს ქალაქს. ეუმბარებმა მრავალი სახლი დააქცია. ამბობენ, რომ მოკლულნი ძალიან ბევრიაო. მცხოვრებლები საშინელმა შიშმა მოიცვა, ბავშვები და დედაკაცები მთელი დამე ლოცულობდნენ. ერთმა ეუმბარამ ოცი ჯარის-კაცი დასჯრა და რამდენიმე მოჭკლა. მეორემ ხუთი მოჭკლა. ესპანელთ 100 კაცზედ მეტი დაჭკარგეს. დამე მეამბოხეთ ზარბაზნებისა და თოფების სროლა განაახლეს. თვით დამე მეტად ბნელი და ქარიშხალიანი იყო. დარაჯებმა თავისსაკე ცხენოსანთა რაზმს თოფები დაუშინეს, რადგანაც საბნელეში ვერ გაარჩიეს და ამერიკელები ეგონათ. ამ უკანა უბედურების გარდა, შაბათს ქალაქის 1,500 სახლს ტეტხლი წაეკიდა. ტეტხლი ძლივ-წვალებით ჩააქრო ტეტხლის მქრობელმა რაზმმა. ხალხი შიმშილით იხოცება. ბევრი მხოლოდ თაგვებითა და კირთაგვებით-და იკვებება“.

— გაზ. „Daily Maile“-ს გონგკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ წარსულ ორშაბათს ფილიპეს მეამბოხეთა წარმომადგენლებსა და იაპონიის ოფიცრებს მოლაპარაკება ჰქონდათო. ოფიცრებს უთქვამთ, რომ ჩვენმა მთავრობამ დაგვავალა იარაღითა და სურსათით შემწეობა აღმოუჩინოთ მეამბოხეთ, თუ ისინი დამოუკიდებლობისათვის ომს განაგრძობენო.

— ომი დასრულდა და ჟურნალ-გაზეთები კიდეც შეუდგნენ ომის გამოანგარიშებას, თუ მებრძოლმა სახელმწიფოებმა ამ ომის დროს რა ხარჯი გასწიეს და რა ზარალი ნახეს. 1895 წლის მარტის თვეიდგან ამა წლის 18 იულისამდე ესპანიას კუბაში გაუგზავნია 180,431 ჯარის-კაცი, 6,837 ოფიცერი და 10 გენერალი. ამას გარდა კუბაში 12,000 ჯარის კაცი კიდეკ სხვა ეროვნელი. ომის დროს დაღუპულა: 2 გენერალი, 141 ოფიცე-

რი და 1,384 ჯარას-კაცი. დაჭრილნი: 463 ათეული და 8,164 ჯარის-კაცი. ტიებ-ტსელებისაგან გარდაცვლილნი: 313 ათეული და 13,000 ჯარის-კაცი, ხოლო სხვა ავადმყოფობისაგან: 127 ათეული და 40,000 ჯარის-კაცი. გარდა ამისა ბევრი უკაცოდ გამქრალა, ასე რომ ამ ომის დროს ესპანიას სულ 100,000 კაცი დაუკარგავს და 2 მილიარდი პეზეტი (პეზეტი 23 კაპეიკი) დაუსარჯავს.

—

ინგლისი. ინგლისისა და ეგვიპტის ჟურნალ-გაზეთები ამ ყამად ბევრს სწერენ დეორეუ კერზონის შესახებ, რომელიც ინდოეთის ვიცე-კოროლად იქმნა დანიშნული. კერზონი დაბალის შთამომავლობის კაცია და ეს თითქმის პირველი მაგალითია, რომ ასეთის შთამომავლობის კაცი ამ თანამდებობაზედ დანიშნოთ. ამას გარდა ახალი ვიცე-კოროლი ახალგაზდა 30 წლის კაცია, ასეთის ახალგაზდა კაცის დანიშვნაც იშვიათი მოგლენაა. დეორეუ კერზონმა განათლება ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო. სწავლის დამთავრების შემდეგ კერზონმა ბევრი იმოგზაურა სპარსეთსა, ინდოეთსა, ბუხარასა, სამარკანდსა, ჩინეთსა, კორეასა, იაპონიასა, კავკასიასა და ქაშმირში. იყო აგრეთვე კანადასა, შეერთებულ შტატებსა, ბამირასა და აღმანისტანში. თავისი მოგზაურობა კერზონმა სამს წიგნში აღწერა. 1885 წელს ის სალისბიერის კერძო მდივნის თანამდებობას ასრულებდა. 1891 წელს დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად, ხოლო აწინდელ კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად. უკანა გაზეთების მოწმობით, ახალი ვიცე კოროლი ინდოეთისა, ნიჭიერი, მეცნიერ-მეტუკელი და მშრომელი კაცია.

—

იტალია. რომიდგან იუწყებიან, რომ ამ ყამად რომის პაპი ძალიან ავად არისო. ავადმყოფობა დღითი-დღე უფრო უმნელდებაო. პაპის სიარული თითქმის აღარც-კი შეუძლიანო. მახლობელნი დიდს შიშსა და საგონებელში იმიან ჩაკარდნილიო.

ᲔᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

არის თქმულება, ვითომ ქალაქ რომის დამაარსებელნი, რომული და რემი მგელმა გაზარდაო. ბევრს, რა თქმა უნდა, არა სჯერა ეს, მაგრამ ინგლისელი მწერალი სტოკველი ამტკიცებს, ინდოსტანში ხშირად მინახავს, რომ მგელს ბავშვები დაუზრდია. ასეთი მგელ-კაცები ბევრად განირჩევიან ადამიანისაგან და ოთხფეხს უფრო ჰგვანან. ლაპარაკი სრულებით არ იციან და ვერც დაასწავლის კაცი. ერთხელ ერთის მგლის სოროში იპოვნეს 4 წლის ყმაწვილი და გაზარდეს; დიდ ხანს ეს ბავშვი არაფერსა სჭამდა, გარდა უმის ხორცისა და ბოლოს როგორც იყო იმდენად გაწრთვნეს, რომ ჟანდარმობა შეეძლო. საგეოლოგიო საზოგადოების წევრი ბ-ნ ბალლი სწერს: ერთხელ მგლის სოროში იპოვნეს ასე 10 წლის ყმაწვილი, რომელიც იმ წამსვე ეცა ორს ადამიანს და დაჰკბინა. როგორც იყო მიაჩვიეს ადამიანურს ცხოვრებას, მაგრამ როცა-კი მგლებს ნახავდა ხოლმე, ალერსს დაუწყებდა, მგლებიც ისე ექცეოდნენ, როგორც თავიანთს შვილსა და ალერსიანად ლოკავდნენ.

* * *

ამერიკაში თურმე მრავალი არტისტი-ქალი ყოფილა მილიონის პატრონი. მათ შორის სამის—მისს კრაუბურის, მაჯი მიტჩელის და ფანნი დავენპორტის ქონება რამდენსამე მილიონს აღემატება. მისს კრაუბურის აუარებელი ქონება მხოლოდ თავის ნიჭის წყალობით შეუძენია. იმისი მამა ღარიბი ნახშირით მოვაჭრე ყოფილა. დღეს-კი კრაუბურს 6 მილიონის შეძლება ჰქონია. არა ნაკლების შეძლების პატრონი ყოფილა მეორე არტისტი-ქალი მაჯი მიტჩელი, დღეს იმისი ქონება 5 მილიონ მანეთს აღემატება. პირველ ხან მიტჩელი თეატრში უმნიშვნელო როლებს თამაშობდა თურმე, მაგრამ თანდათან წინ წაწეულა და ბოლოს თითო გამოსვლაში ათას მანეთობით იღებდა თურმე. მესამე არტისტი ქალი ფანნი დავენპორტი ჯერ კიდევ ახალგაზდაა. უმთავრესად დავენპორტს სარდუს პიესების უმთავრეს როლების თამაშობით გაუთქვამს სახელი. თეატრში მოგებულის ფულით ამ ქალს მშვენიერი მამულები შეუძენია და დიდი სასახლეები აუგია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 აგვისტო

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲐ. ნანსენმა განაცხადა; ის ამბავი რომ ანდრემ მტრედი გამოგზავნა სარწმუნო არ არის, რადგანაც შეუძლებელია მტრედს ციმბირში ამ დრომდე ეცოცხლა; დაუჯერებელია აგრეთვე ისიც, რომ ასეთი საყურადღებო ამბავი ვიიქტორიიდგან მოვიდა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

კვირას, 30 ივლისს, ს. საჭილაოში ქ-ნ მარიამ ბესარიონ გრიგორიას ასულის თაოსნობით ჯიხაშელ სცენის მოყვარეთა მიერ, ქ-ნ კვალიშვილის მონაწილეობით, გაიმართა ქართული წარმოდგენა ჩემდა სასარგებლოდ. ითამაშეს „ხანუმა“ კომ. ავ. ცაგარლისა. დიდ ძალი დამსწრე საზოგადოება ახლო მახლო სოფლებიდგან დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით. წმინდა შემოსავალი 190 მანეთიდგან 50 მან. ქ-ნმა გრიგორიამ გადმომცა მე, რისათვისაც უფლრმეს მადლობას ვუცხადებ როგორც მას პირადათ, ეგრეთვე სხვებსაც, რომელთაც მონაწილობა მიიღეს ამ საქველ-მოქმედო წარმოდგენაში.

სტუდენტი ანდრია ლორთქიფანიძე

შემოწირულება

უმორჩილესად ვთხოვ რედაქციას ჩემმიერ შეკრებილი 6 მან. და 70 კ. ფოსტის ფულის გამოკლებით, გადასცეთ იმ კომიტეტს, რომელსაც მცხეთის ტაძრის განახლება აქვს მინდობილი. სია შემომწირველთა, ფოთის „დამოუკ“ მოხელენი: ივ. ლოპატო 1 მ., თავ. ბავბავაძე 1 მან., ს. ნამიჩეიშვილი 20 კ., მ. კლდიაშვილი 30 კ., ი. მზარელუა 20 კ., მ. ზაზულინი 20 კ., ალ. გელმანი 30 კ., მ. ჭიპაძე 50 კ., გ. ჭიპაძე 50 კ., თას. გეგელაშვილი 1 მან., გ. ჰოპოვი 50 კ. და ილ. გვარამაძე 1 მან. სულ 6 მან. და 70 კაპ.

ილია გვარამაძე

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო საწავლებელში არის სულ სამოცდა. შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11) —(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ აღგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მთხზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე აკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 189⁸/₉ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—8)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	ფან.	კაპ.
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.		
სახალხო ლექსები და ლეგენდები . . .	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	»
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა „		20
წყარო წიგნი II მისივე .	„	50
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . .	„	25
ქ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
პეთილი ძაღლი . . .	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	»	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი	„	40
გედები. საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

უმთავრესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8 33	—	—	8.35
სამტრედია	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
ყვირილა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2.58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5 00	11.47	12.02	5.26	5.41
გორი	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტფილისი	8.26	9.10	8.22	9.05	6.33	7.48	9.07	10.57
აქსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
განჯა	2.23	2.37	2.35	2 55	11.39	11.54	5.18	5.40
უჯარა	10.43	10.53	6.08	6.20	7.39	7.49	9.14	9.24
აჯიკაბული	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1 25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

შენიშვნა: ბაკუს ხაზებში მოქცეული საათიკ წუთა დამესა ჭნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მთდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

რკინის გზის საგარეკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის დამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის დამის 2 ს. 54 წ., გორში—დამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 512 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) საკანცრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ათფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—17)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Августа 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ᲘᲚᲘᲐᲭᲐᲕᲩᲐᲕᲩᲐᲫᲔ.